ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7189735

ნომერი: AR11053488

თარიღი : 15.08.2024

გაცემის თარიღი : 21.08.2024

გაცნობის თარიღი : 21.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეოფანე დავითაიას ქუჩა, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა კალანდაძე პ/ნ 01012019973
- ქ.თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 15 აგვისტოს №AR11053488 განცხადებით მომართა გოჩა კალანდაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 29

ივლისის №7154786 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებით №01.17.07.021.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 29 ივლისიდან 2027 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით კალენდარული გრაფიკი შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა. ამასთან, ბრძანებაში შენობა №3-ის მშენებლობის ეტაპები არ ფიქსირდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 16 მაისის №AR11035254 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 25 თვეზე და სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 29 ივლისიდან 2027 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა 2024 წლის 16 მაისის №AR11035254 განცხადებაზე წარმოდგენილი, სამსახურის მიერ შეთანხმებული კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული შენობა №3-ის მშენებლობის ეტაპები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებაში და:
1.1 სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 29 ივლისიდან 2027 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“.
1.2 სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანების მე-4 პუნქტში მე-3 ბლოკის მშენებლობის ეტაპები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;
2. შენობა-ნაგებობის ნაწილის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
3. შენობის მიწის სამუშაოები; შენობის ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობის საძირკვლების მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე;
4. ძირითადი კარკასის მონტაჟი +7.00 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით);
5. ძირითადი კარკასის მონტაჟი +15.10 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით);
6. შენობის სახურავის მოწყობა;
7. შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი;
8. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება
9. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
10. ტერიტორიის კეთილმოწყობა; სამშენებლო ნარჩენების გატანა.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 ივლისის №7154786 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge